| გაზეთი ღირს | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თვეე | მან. | კ. | თვეე | მან. | კ. |
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის სასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ჟუკიაში, აჭმალის ქუჩა, თ. გრანცოვის შენობის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სალიტერატურო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890


## „ივერია"

გამოვა 1890 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1890 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თვითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ".**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დასაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.


სასტუმრო

**„პურ-ღვინო"-ში**

მთელის დიდ მარხვის განმავლობაში, სახსნილოს გარდა, კეთდება ყოველ გვარი მუ-ული და აქაური სამარხვო საჭმელები. მსურველთ სახლებშიაც ეუგზავნით. (3—1)

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

**გორკილი**

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. მ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია ი. სუმბათაშვილის პიესებს შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.


## ახალი ამბავი

*** განსვენებულის დიმიტრი ბაქრაძის ფონდის სასარგებლოდ მივიღეთ კიდევ ეპისკოპოსის ალექსანდრესაგან 25 მან. დღემდე იყო 313 მან. შესდგა სულ 338 მან.

*** გუშინ, ამ თვის 19, სიონის ტაძარში მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ საქართველოს ეგზარხოსმა პალლადიმ პანაშვიდი გადიხადა მიცვალებულის ხელმწიფის იმპერატორის ალექსანდრე ნიკოლოზის ძის მოსახსენებლად. პანაშვიდზედ ცოტა ხალხი დაესწრო. სხვათა შორის ეკკლესიაში იყვნენ გენერალი თ. ამილახვარი, ტფილისის ოლქის სასამართლოს პროკურორი და რამდენიმე სამხედრო და სამოქალაქო უწყების წარმომადგენელი.

*** კვირას იმავე სიონის ტაძარში მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ ეგზარხოსმა პალლადიმ წირვის შემდეგ პარაკლისი გადიხადა მათ უდიდებულესობის რუსეთის სამეფო სახლობის სადღეგრძელოდ. პარაკლისს შემდეგ გარდახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულთ კათოლიკოსთა, რუსეთისა და საქართველოს მეფეთა და დედოფალთა და სხ. მართლ-მადიდებელ ქრისტიანეთა მოსახსენებლად.

*** ყიზლარიდამ კვწერენ დეპეშით: დიდად შეავაწუხა მოულოდნელმა სიკვდილმა დაუვიწყარის ისტორიკოსისამ. განუცხადეთ განსვენებულის სახლობას საზღვარ-დაუდებელი მწუხარება ყიზლარელ ქართველობისა.

*** სამტრედიიდამ გვწერს დეპეშით ბ-ნი სალარაძე: გუშინ-წინ, ნაშუადღევის 1 საათზედ, აქაურს წმ. გიორგის ეკკლესიაში გადავიხადეთ პანაშვიდი მოსახსენებლად გარდაცვალებულის ჩვენის ისტორიკოსისა და არხეოლოგის დიმიტრი ბაქრაძისა. მრავალი ხალხი დაესწრო პანაშვიდს და ამით პატივი სცა განსვენებულის ხსენებას.

*** ყვარიდგან: ამ დღეებში ჩვენს პატარა საზოგადოებას გაზეთებმა აუწყეს სამწუხარო და სავალალო ამბავი: ხარბმა სიკვდილმა მოგვტაცა ჩვენი სამშობლოს უკეთესი მოღვაწე დ. ზ. ბაქრაძისი. ამ თავ ზარს დამცემმა ამბავმა, როგორც მოსალოდნელი იყო, იმათი წრფელი ცრემლი გამოიწვია და თითოეული ჩვენგანი დიდს მწუხარებას მისცა. თითქმის მთელი ჩვენი საზოგადოება პირადად იცნობდა განსვენებულს, ამ დიდად ზრდილს, თავმდაბალს, გულ-კეთილსა და გულ მართალს ადამიანს. განსვენებულმა დიმიტრიმ და პროფ. კონდაკოვმა შემოიარეს ჩვენი მაზრა და დაათვალიერეს ჩვენი უძველესი და შესანიშნავი მონასტრები. ვაი, რომ ეს სამეცნიერო მოგზაურობა უკანასკნელი იყო განსვენებულისათვის! დღეს, 18 თებერვალს, ყვარილის საზოგადოებამ და მასთან ერთად ამ ღამის ახლო-მახლო სოფლელთ მცხოვრებლებმა გადაიხადეს პანაშვიდი. აქაურმა მღვდელმა მამა დ. ლამბაშიძემ წარმოსთქვა სიტყვა და მოკლედ აღნიშნა განსვენებულის ღვაწლი ჩვენის ქართველის საზოგადოების წინაშე. განუცხადეთ ჩვენი უგულითადესი და ულრმესი გრძნობა მწუხარებისა განსვენებულის სახლობას.

*** ქარელი: 10 თებერვალს ქარელში ერთის ყმაწვილის კაცის თაოსნობით წინამძღვრიშვილის სკოლის სასარგებლოდ სცენის მოყვარეებმა წარმოადგინეს ცაგარლის პიესა: „რაც გინახავს, ველარ ნახავ" და „დავა" შიოთხე მოქმედება. ცაციაანთ საზოგადოება სიხარულით მიეგება ამ წარმოდგენას და ბლომადაც დაესწრო ხალხი. მონაწილეობა მიიღეს სხვათა შორის ციციშვილის ქალებმა, ნ. ავალიშვილის ქალმა, ბ-ნმა ზ. მაჩაბელმა და ს. მგალობლიშვილმა. თვით წარმოდგენამ, სწორედ მოგახსენოთ, ვერაფრად ასიამოვნა საზოგადოება. საღამო დაამშვენა ლხინმა, რომელიც წარმოდგენის შემდეგ გაიმართა. დიდხანს ემახსოვრება ეს საღამო აქაურს საზოგადოებას ამ ლხინის გამო. წმინდა შემოსავალი ათ თუმნამდე დარჩებოდა. როგორღაც მოდად შემოდის აჩქარებითადა მოუმზადებლად მართვა წარმოდგენებისა სცენის მოყვარეთა შორის. ჩვენის აზრით, ეს გარემოება დიდად სამწუხარო გარემოებად უნდა ჩაითვალოს.

*** ართვინი: ლამის ჩ ენმა ართვინმაც ფეხი გამოჰყოს და განათლებაში თავი დასდოს. აგერ ორჯელ იყო აქ გამართული სცენის მოყვარეთაგან სომხური წარმოდგენა. ესკაა, რომ ორჯელვე ხალხი ნაკლებად დაესწრო და შემოსავალი ძალიან მცირე იყო, თუმცა ისიც-კი უნდა ვსთქვათ, რომ თვით წარმოდგენაც ვერაფერი იყო. მოყვარულნი ბევრს სცდილობდნენ, მაგრამ მაინც ვერ მოერიენენ სუნდუკიანცის პიესას „პეპოს".

*** ქართლი: ერთს ჩვენს დიდს სოფელში, რომელიც დაბასა ჰგავს თავის სიდიდით, ბევრი, ძალიან ბევრი უწესოებაა. ამას გარდა ძლიერ ემდურიან ჩვენთვე ერთს თავიანთვე არჩეულს მოხელეს, რომელსაც სოფლის ფული აბარია და ანგარიშს კი არ გვაძლევს, თუ რაში იხარჯება ის ფულიო. ამ საქმეზე მთავრობასთან საჩივარიც არის გაგზავნილი აგერ რამდენიმე წელიწადია. ეხლა-ხან იყო მთავრობის წარმომადგენელი ამ საქმის გამოსაძიებლად და უფრო იმის გამოსარკვევად, თუ ვისის ნება-დართვით იხარჯება საზოგადოების ფული საზოგადოების მოხელის მიერ. საზოგადოებამ კვლავ უჩივლა მოხელეს მთავრობის წარმომადგენელთანაც, რომელიც დაჰპირდა, რომ ამოვალ შემდეგ კიდევ და მაშინ მოსთხოვეთ თქვენს მოხელეს ყოველივე ანგარიში დაწერილებითაო.

*** იქიდამვე: სამაზრო ადმინისტრაციამ დაიბარა თითოეულ სამამასახლისოდამ თორმეტ-თორმეტი კაცი და გამოუცხადა, რომ ამას შემდეგ სამი სამამასახლისო ერთად უნდა შეერთდეს და მამასახლისად უკეთესი კაცები ვინც გეგულებათ, ისინი უნდა იყოლიოთ, მისცეთ ნასწავლი მწერალი და ორივეს ჯამაგირი დაუნიშნოთო. ამას გარდა მამასახლისს ორი ცხენიანი ჩაფარიც უნდა ჰყავდეს ხელქვეითადაო.

*** რუსულ „მონადირეების გაზეთის" (Охотничья газета) ამ წლის მე-№ 7-ში დაბეჭდილია მოლაროვოიჩის წერილი „ნადირობა კახეთში". ავტორი ამბობს, რომ 25—30 წ. წინად არაშის წყლისა და საგათორისა და ბელაქნის მდინარის მიყოლებაზედ დიდ-ძალი ნადირი იყო ხოლმეო. ადამიანი ხანდახან ვეფხვსაც შეხვდებოდა, მაგრამ მას აქეთ ნადირი თანდათან შეთხელდა, გადაშენდა. ეს შემთხვევა უმეტესად იმ გარემოებას მიეწერება, რომ საპატიო ადგილი და უთმეს ცულსაც. ამ ცულმა გაანადგურა აქაური ვრცელი ტყეები და, წარმოიდგინეთ, თვით ას წლოვან კაკლის ხეთა ჭალაკნიც-კი მოსპო. ყველა ამ მიზეზის გამო იქ, სადაც 15—20 წლის წინად თავისუფლად დასეირნობდა ირმის ას თავიანი ჯოგი, დღეს კაცი იშვიათად შეხვდება

## ფელეტონი

### შესახებ ქართველთა და სომეხთა ძველის-ძველ ისტორიისა *).

გარდა ოთხის წარწერისა, რომელთა შორის უნდა შევრიცხოთ Arzana-ს ბეჭედი, დანარჩენნი არმენაულნი ანუ ალაროდიულნი წარწერანი ეკუთვნიან ერთსა და იმავე ეპოქას და მომდინარებენ ხუთ მეფეთაგან, რომელნიც განუწყვეტელად მოსდევდნენ ერთმანეთს და რომელნიც, რასაც ცოტა ქვევით დავამტკიცებთ, სცხოვრებდნენ ქრისტიანობის წინ მეშვიდე საუკუნეს. როგორც გროტეფენდმა და ჰინკსმა ადრევე გამოსთქვეს, ამ წარწერათა ასოები სრულებით ემსგავსება ასურეთის წერილს. მარტო ერთი პალეოგრაფიული განსხვავება, რომელიც მათ ეტყობათ, იმაში მდგომარეობს, რომ ბოლონდელ დროის წარწერებში უხმარიათ ორი განცალკევებული გაწოლილი (გორიზონტალური) ლურსმანი ადრე ხმარებულ ერთ ლურსმნის მაგიერ, რომელიც გასჭრიდა ვერტიკალურ ლურსმანს. მაგალითებრ, სწერენ:




ეს ალაგობრივი ცვლილება შემოდის შემდეგ. დასაწყისში-კი ალაგობრივი წერა არაფრით არ გაირჩევა წმინდა ასსურულ წერას. ყველაზედ ძველ წერის ნიმუშს წარმოადგენს შულცის პირველის ნომრით აღნიშნული წარწერა და მეორე ჯერ გამოუცხადებელი ლეარდისა. ეს ორი წარწერა, რომელთა ტექსტი არაფრით არ განსხვავდება, გამოუჭრიათ ასურეთის ენაზედ სახსოვრად და ბრძანებით ალაგობრივ მეფისა, რომელსაც რქმევია Belit dur, ძე Hutibri-სი, მეფე Nairi-სა. ამ გვარად წოდებულს მეფეს განუზრახავს შემოღება წერის ხელოვნებისა თავის ხალხის სასწავლებლად და, საფიქრებელია, სრული ხალდო ასსურული სწავლა-განათლებისა. ამისათვის მოუწვევნია თავის სამეფოში ასსურელნი მწერალნი, რომელთაც გამოუჭრიათ თავიანთ საკუთარ ენაზედ ოფიციალურნი მმართებლობითნი წარწერანი და ამ გვარად ასსურული ენა არმენიაში გამხდარა დროებით სწავლულთა ენად, როგორადაც ახალის ევროპიისათვის ლათინური ენა იყო. მაგრამ ესეთმა დროებითმა მყოფობამ დიდხანს არ გასწია: მცირე დროს შემდეგ ვხედავთ, რომ ასსურულის წერის სისტემით დაუწყიათ ალაგობრივ ენაზედ წერა, რასაც გვიმტკიცებს ერთი წარწერა იმავე Belit dur-ის შვილისა, სახელდობრ Isbuinis-სა. ეს წარწერა, მოხსენებული შულცის 36 ნომერ ქვეშ, როგორც ყველა შემდეგნი, ალაგობრივ ენაზედ არის დაწერილი.

ალაგობრივ ენაზედ ასრულებულნი წარწერანი, რიცხვით ორმოცამდე, საზოგადოდ წარმოადგენენ სამღვთო მიმართულებას, სადაც მოიხსენებიან ერთი და იგივე ღმერთნი; ხოლო ზოგიერთი ამ წარწერათაგანი მოგვითხრობენ ისტორიულ შემთხვევათაც, რომელთა საზოგადო აზრი ეხლავე ცხადია ჩვენთვის, თუმცა წარწერათა სრული დეშიფრვა, გარკვევა ჯერ აქამომდე შეუძლებელია. წარწერანი მოგვითხრობენ დიდ გალაშქრებათა, ახალის მიწების დაპყრობათა, სხვა-და-სხვა ქვეყანაზედ დაცემასა, რომელთა შორის ხშირად მოიხსენებიან ასსურეთი და ბაბილონია, ქალაქებისა და პროვინციების, თემების აღებასა; ვრცლად ჩამოსთვლიან დავლას, ხან დაწვრილებით, სახელდობრ, ხან საზოგადო სიტყვით; მოგვითხრობენ იმასაც, თუ რომელ მათ ღმერთებს რა დავლის წილი ერგებოდათ. აქვე მოიხსენება აუარებელი რიცხვი ალაგობრივ და გარემო ხალხთა ღმერთებისა, მათთვის შეწირულ სამღვთოთა დასახელებით როგორც რიცხვისა, აგრეთვე დაკლულ პირუტყვის გვარისა.

ცხადი გახლავს, ჩემო ბატონო, შინაარსი არმენიაში ნაპოვნ ლურსმნებრივ წარწერათა. იქნება ჩემმა მოხსენებამ გაგაკვირვოთ, რომ იმ წარწერათა ენა ბევრ სიბნელეს წარმოადგენს და ჯერ ისიც გადაწყვეტილი არ არის, თუ თვით ეს ენა რა ენაა; იქნება თქვენ იკითხოთ, როგორ შეიძლება გაიგოს კაცმა ტექსტის დიდი წილი, როცა ამ ტექსტის ენა არ იცის-ო? ამისა ახსნა ისე ძნელი არ არის, როგორც პირველ შეხედვით ეჩვენე

*) იხ. „ივერია" № 37

10—15 თავ ირმის დასტას. მალე ირმის სახსენებელიც გაწყდება საუკუნოდ. ამ გვარივე უბედურება ეწიათ გარეულ ღორთა, თხათა, შველთა და სხ. ღორის დიდი კოლტი წინად ხშირი იყო, ხოლო ახლა შემცირდა და ძნელი საპოვნელი შეიქმნა. ვეფხვებიც წინად თითო-ოროლა ჩნდებოდნენ. მაგალითად 1883—1888 წ. შორის სულ 4 ვეფხვი იქმნა მოკლული. ერთი ამ ვეფხვთაგანი ლაგოდეხს ახლო მოკლეს. ეს ვეფხვი გზის პირას მაღალ ხეზე ასულიყო და არე-მარეს ათვალიერებდა. მონადირემ თვალი მოჰკრა და დასჭრა. ტყვიით დაჭრილ ვეფხვს კინაღამ ერთი ქართველი მეტყევე არ შემოაკვდა.

## კრება სატექნიკო საზოგადოებისა

18 თებერვალს

ამ კრებაზე ბ-ნ კოლდეევინმა წაიკითხა ფრიად საინტერესო რეფერატი იმის შესახებ, თუ შეკუმშული ჰაერი რამდენად გამოსაყენებელია ტეხნიკაში. პარიჟსა და სხვა დიდს ქალაქებში სტამბის უზარმაზარი მაშინა, მადნებიდამ წყლის ამოსაწურავი, ჭიდგან წყლის ამოსაყვანი, ღვინისა და სპირტეულობის გადახალები (შეკუმშული ჰაერი ღვინოს არ ამღვრევს და ამიტომ საუცხოვოდ სწმენდს გადაღების დროსაო), საკერავი და სხვა მრავალი მაშინა შეკუმშულ ჰაერს მოჰყავს მოძრაობაშიო. ახლა კიდევ ნავთით სანათებელ ლამპრებს ერთ გვარ მართულს უკეთებენ. ეს მართული ჰაერს ჰკუმშავს და იქითკენ ადენს, საცა ნავთი იწვის. ამითი სამ ნაირად ანკარგებს საქმეს: ჯერ ერთი, ნავთი ცოტა იხარჯება, რადგანაც სულ იწვის და ერთი წვეთიც არ იკარგება უბრალოდ; მეორე, კვამლი არა დგება და მესამე, ლამპარი საუცხოვო ალს იკეთებს და იმისი ალი თვალებს აღარა სწყენს და ადამიანს მხედველობას არ უსუსტებს. ჰაერის გასაწმენდად უმეტესად სარდაფებსა და მთა-მადნების გვირაბებში ხომ იმაზედ უკეთესი საშუალება არსად მოიძებნებაო.

რეფერენტის აზრით, შეკუმშული ჰაერი ორთქლის ადგილს მალე დაიჭერს და იმისი ხმარება უფრო გავრცელდება, ვიდრე ელექტრონის ძალაა გავრცელებულიო. ეს აშკარაა ორის მიზეზის გამოისობით:

1) შეკუმშულ ჰაერის მაშინა სრულიად უშიშარია და არ აზარალებს მუშებს. მაგალითებრ, ჰაერომოტორების (ის მაშინები, რომელიც ჰაერს ჰკუმშავს და იმ ჰაერით სხვა მაშინებს ამოქმედებს) დადგმა და მართვა შეიძლება იქ, სადაც ორთქლის ქვაბი არ დაიდგმის და სადაც, მაშასადამე, მუშა-ხელმა უნდა გაუწიოს შემწეობა. ჰაერომოტორი შევიძლიან, მაგალითებრ, ჭერსა ან კედელშიაც-კი გაჰმართო.

2) შეკუმშული ჰაერი ბევრად უფრო იაფადა ჯდება, ვიდრე წყლის ორთქლი, ან ელექტრონის ძალა. ორთქლის, ან დინამო ელექტრონის მაშინებით წვრილი ხელის მაშინები (მაგალითებრ, საკერავი და სხვ.) ვერ იმოქმედებენ რადგან მეტად ძვირადა ჯდება. შეკუმშული ჰაერი-კი ამ მხრით დიდს სამსახურს გაუწევს ტეხნიკას და ყველგან არის შესაძლებელი იმისი მოხმარება და გამოყენებაო.

## დავა

საბუის გლეხთა და თთ. ჯორჯაძეთა შორის კახეთში

ჩვენს მკითხველებს ეხსომებათ, რა დიდი უსიამოვნება სუფევს საბუე-ენისელის გლეხობასა და თთ. ჯორჯაძეებს შორის, რადგანაც ეს ამბავი არა ერთხელ იყო დაბეჭდილი გაზეთ „დროებასა“ და „ივერიაში“. საქმე იმაშია, რომ ეს „დავა“ და უსიამოვნება დიდის ხნის ბარტყია და „არ ახალია—ძველია“, მაგრამ იგი უსიამოვნება უფრო გაამწვავა, გაამძაფრა მთის გამიჯვნის დროს გლეხთა და თავადთა შორის ტყეზე ატეხილმა დავამ. გლეხები ამტკიცებდნენ, მთა ნახევარი ჩვენიაო. უხსოვარ დროთაგან, ათადან-ბაბადან მამა-პაპასა და წინაპარს თავისუფლად უხმარნია და უფლიაო. და აი ამის დასამტკიცებლად გამოიდო თავი მთელმა სოფელმა, არას ჰზოგავდა, არას ერიდებოდა. ათ კაცამდის ჰყავდა ამორჩეული სოფელს თავის წარმომადგენლებად და თითოეული გლეხი სოფლისა, როგორც იტყვიან, „გალითით“ აძლევდა ფულს ოღონდ-კი თავადებს არ დარჩეს ჩვენი საკუთარი მთაო, ან ჩვენ დაგვრჩეს, ან ხაზინასო ე. ი. „სახაზინოდ“ დაიდოსო. გლეხებს ეგონათ, რომ თუ სახაზინოდ დაიდება, ტყეში ისევ ე თავისუფლად ვივლით, როგორც ჩვენს საკუთარს მამულებშიო. რა თქმა უნდა, რომ ამ დავაში ბევრნი სხვანიც გაერივნენ, გლეხების მომხრენიც, და აქეზებდნენ აბა ეცადეთ, არა დაითმოთ-რაო, ხომ მოგეხსენებათ ეს წუთი-სოფელი სავსეა იმისთანებით, რომელთაც წყლის ამღვრევა სახეიროდ მიაჩნიათ თავისთვის. ცხადია ისიც, გლეხებს ეს დავა დიდი ფული დაუჯდათ და სულ ამაოდ გაიფუჭნენ, გაიუბედურნენ რადგან მათი საქმე არ ჩაუბარდა ისეთს გამოცდილსა, მცოდნესა და სინდისიერს კაცს, რომელსაც სადაო საქმე სწორედ გამოეკვლია, აეწონ გაეზომა, გულ მტკივნეულობით მოქცეულიყო და არც მწვადი დაეწვა, და არც შამფური...

დიაღ, ბევრმა მოითბო ხელი გლეხების უცოდინარობისა და სიბეჩავის გამო, თავის სასარგებლოდ გამოიყენა მათი გამწვავებული და უღონო თავ გამოდება. კარგად მახსოვს, როდესაც გარდა კარგის „ბუჩულასა“ საბუეში კომლეულად მოკრებილი პური და ღვინო ურემებით მოედგებოდა ხოლმე კარზე ყოველ წლობით ერთს თელავის „ადვოკატს“, რომელიც აწ უკვე წიაღთა შინა აბრაამისათა“ განისვენებს, წუთი-სოფლის წაღმა-უკუღმა ტრიალს, შფოთსა და დავიდარაბას საუკუნოდ მოშორებული.

ამეების შედეგი იყო, რომ ერთხელ საბუელმა დედაკაცებმაც-კი ხელი გამოიღეს. დედაკაცობამ ივრინა სასამართლოს ბოქაული ჩაფრებითურთ, როდესაც გლეხებზე მალა მიიტანეს, და კარგა დიდს მანძილზე სულ კუდით ქვა ასროლინეს. ამას ზედ ის მოჰყვა, რომ გლეხობამ მათის იმპერატორობითის უდიდებულესობას ხელმწიფე იმპერატორს გაუგზავნეს დეპეშა და სთხოვეს შველა და დახსნა ამ დავიდარაბისაგან. ამ საქმის გამო მაშინდელი გუბერნატორი ბ-ნი გროსმანი თვით მობრძანდა კახეთში..

სწორედ ამ საქმის გამოკვლევა ატეხილის უსიამოვნობისა და შფოთის ნაყოფი იყო ის გარემოებაც, რომ, როდესაც თ. ჯორჯაძე გარდაიცვალა, მთელის ენისელის საზოგადოების გლეხობა შეგროვდა ერთად და საზოგადო ყრილობაზე გადასწყვიტეს მიცვალებული არ დაესაფლავებინათ ეკკლესიაში. გეხსომებათ, რომ მაშინ საფლავის მთხრელნი დაიჭირეს, გათხრილი საფლავი ამოავსეს ისევ და თავიანთი ყარაულები დააყენეს. მერე გულ მოდგინედ მოიქცა მაშინ აქაური სამაზრო ადმინისტრაცია. რამდენჯერმე იერიშიც მიიტანა გლეხებზე, მაგრამ ვერას გახდა.. შემდეგ თითონ გუბერნატორი მიბძანდა და დაამშვიდა აღშფოთებული და გულ-ამღვრეული გლეხობა. მხოლოდ მას უკან ეღირსა განსვენებულის თ. გ. ჯორჯაძეს დამარხვა. ყოველივე ეს თავის დროზე იყო მოხსენებული და აღწერილი „ივერიაში“.

დაისაჯნენ მაშინ მოთავე გლეხნი, მაგრამ ამით საქმეს არა ეშველა-რა, უსიამოვნობასა და დავიდარაბას გლეხთა და ჯორჯაძეთა შორის ბოლო არ მოეღო, სიძულვილი მათ შორის არ მოისპო, არ ამოიფხვრა.

თითქმის ოცის წლის წინად ატეხილი დავა საბუელ გლეხებსა და თ. ჯორჯაძეებს შორის მთის თაობაზე გათავდა მხოლოდ შარშანწინ და გადასწყდა თ. ჯორჯაძეების სასარგებლოდ.

ნამდვილად ვიცით, რომ დავის გადაწყვეტამდე თ. ჯორჯაძეებმა გლეხობას ნება უფულოდ აძლიეს ექვსასი (600) დესეტინა ტყე, ოღონდაც დავა მოესპოთ. მაგრამ გლეხობა არ თანხმდებოდა: „ნახევარი მთისა ჩვენი საკუთრებაა და ეს ნახევარი რამდენიმე ათასი დესეტინააო“. და აი წელს იანვარში კიდეც გაიღვიძა ამ დიდის ხნის უსიამოვნობამ: უმეობით შეწუხებულმა გლეხობამ გადასწყვიტა წელს შესულიყვნენ ტყეში და გამოეტანათ შეშა და ფიჩხი ისევ ძველებურად, როგორც მამასა და პაპას გამოჰქონდა ულაპად დაუბრკოლებლივ, თავისუფლად. ეს ამბავი აცნობეს სამაზრო ადმინისტრაციას. მაშინვე გაეშურა თანაშემწე მაზრის უფროსისა, მაგრამ ვერას გახდა.

წესისამებრ ყოველივე დაწვრილებით მაშინვე ბ-ნს გუბერნატორს მოხსენდა და გუბერნატორმაც მსწრაფლ გამოჰგზავნა ტფილისის მაზრის უფროსი თ. ლევან ჯანდიერიშვილი—კაცი მხნე, მოსერხებული, გულ-ტკბილი, გულ-შემატკივარი, რომელსაც ბევრ სხვა მძიმე საქმეშიაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ადმინისტრაციის წინაშე. იქ სრული იმედი ჰქონდათ თ. ლევან ჯანდიერიშვილისა, რომ ლევანი, როგორც ქართველი კაცი და მცოდნე ქართველის ხალხის ხასიათისა და ბუნებისა, მოასერხებდა, თუ სამუდამოდ არა, დროებით მაინც ჩააქრობდა ეს აღზნებული ცეცხლი, ეს გამუდმებული და ასე გახანგრძლივებული შფოთი, კანონსა და წრეს გადასული უსიამოვნება, მაგრამ ჩანს საქმე ისეთია, რომ სახელ-განთქმულმა კაცმაც-კი ვერა მოახერხა-რა ჯერ-ჯერობით.

30 იანვარს ჩამოიყვანეს თელავში საბუედამ ათი გლეხი და დააპატიმრეს, რადგან ისინი აღმოჩნდნენ თავი და თავი კაცები, უსიამოვნების ხელ-ახლად ამტეხნი, შფოთის დედანი. დღეს, 2 თებერვალს, შეთოფ-იარაღებულ ყარაულ გამოყოლებით ეს ათი კაცი გამოჰგზავნეს ტფილისში, მხოლოდ ერთი, მძიმე ავადმყოფობის გამო, აქვე თელავის საპატიმროში დასტოვეს ჯერ-ჯერობით.

რითი დამთავრდება ამ გლეხების საქმე, ამის თქმა, რასაკვირველია, მხოლოდ საქმის დაწვრილებით მცოდნესა და კანონში ჩახედებულს კაცს შეუძლიან.

ჩვენის უბრალოს აზრით-კი, თ. ჯორჯაძეები იმ გზით, რა გზითაც ეხლა მოქმედობენ, ვერავითარ შემთხვევაში ვერ ჩააქრობენ ატეხილს უსიამოვნებას და გლეხების გულიდგან ვერ ამოფხვრიან მათდა მიმართ ასე გამწვავებულს სიძულვილს?.. ადმინისტრაციის ჩარევა ამ გვარ შემთხვევაში, თავ-კაცების დაპატიმრება, რასაკვირველია, აუცილებელი უბედურებაა, როცა დარღვეული წესიერებაა დასამყარებელი. იმის ჩარევა არა თუ არ გამართლებს, ვაი თუ კიდევ უფრო მეტად გაამძაფროს ერთხელვე ჩამოვარდნილი უსიამოვნობა, უფრო სამკვიდრო-შვილოდ გაახიახოს, გაამწვავოს ჭრილობა, ღრმად დანერგული წყლული... ამისათვის ათასჯერ უმჯობეს იქნება, იმ გზასვე დაადგნენ ზემოხსენებულნი თავადნი, რა გზითაც ამავე გლეხებთან უნდოდათ საქმის გათავება მაშინ, როცა ეს საქმე საბოლოოდ არ იყო სასამართლოში გადაწყვეტილი. ეს გზა ბევრად სინიდისიერიც იქნება და სამართალზე უფრო სამართლიანიც.

ეგება სთქვას ვინმემ: ახლა რაღა დროსიაო, როდესაც სასამართლომ დავა ფორმალურად თ. ჯორჯაძეების სასარგებლოდ დაასრულაო. მაგრამ ამისთანა მძიმე საქმეში შეიძლება კაცმა თუ სოფელმა მარტო კანონს-კი არ უყუროს, მარტო ფორმას-კი არ მიხედოს, არამედ თვით გული გაუსინჯოს. კანონით, სამართალით საქმე, რასაკვირველია, თთ. ჯორჯაძეების მოგებულია, მაგრამ რამდენი მოგება და გამარჯვებაა, რომ ისევ დამარცხებას, ისევ ზარალს იწვევს კაცი, ვიდრე იმ მოგებასა და გამარჯვებას!

ნუ გავკვლევთ საქმეს ძირის-ძირობამდე, ნუ გამოვიძიებთ და ნუ გამოვიწვრილებთ ამ დავიდარაბის დასაბამს, იმიტომ-რომ ასეთი გამოძიება და გამოწვრილება ვინ იცის სად მიგვიყვანს. ნურც იურიდიულს თვალით სჯის ისარს ვისმართ, რადგანამისათვის შეიძლება საკმაოდ მოქნილი არ არის ჩვენში, მხოლოდ ის ვიკმაროთ, რომ გლეხობას ტყე თავისუფლად უხმარნიათ ადამის დროდგან დაწყებული, მამით, პაპით, პაპის-პაპით. ამაზე თვით თავადი ჯორჯაძეები ვერ იტყვიან უარს. გარდა ამისა თთ. ჯორ-

---

ბა კაცს; მეტადრე ეს ადვილია მათთვის, ვისაც ესმის ასსურული ლურსმნებრივ წერის სისტემა.

ეს სისტემა საზოგადოდ ხმარობს როგორც ფონეტიკურს, აგრეთვე იდეოგრაფიულ ნიშნებს, რომელთაც ყველა წაკითხვა, ყველა ენა თავისებურად გამოსთქვამს[1]). ეს სისტემა ასსურო-ბაბილონელთაგან მიიღეს ელამიტებმა-მიდიელებმა და ალაროდიელებმა (ძველ არმენიის მომკვიდრენი); ხოლო ელამიტები ხმარობდნენ მარტო ფონეტიკურ ნაწილს და იდიოგრამმებს; მიდიელები დიდ წილ ფონეტიკურ ნიშნებს ჰხმარობდნენ და ცოტა იდიოგრამმებს; ალაროდიელებმა-კი მიიღეს სრული ასსირიის სისტემა როგორც ფონეტიკური, ისე იდიოგრამმული, და ეს უკანასკნელი როგორც მარტივი, ისე რთული, და რთულს უფრო ხშირად ხმარობდნენ, ვიდრე თვით ასსურელნი. ამას გარდა ძველ არმენიას ანუ ალაროდიულ წარწერებში ვპოულობთ შესანიშნავ რიცხვს ალლოფონებისას, ე. ი. ფონეტიკურ გამოთქმათ, რომელნიც ეკუთვნიან ასსირიულ ენას, მხოლოდ აქ დარჩომილან როგორც რთულნი იდეოგრაფიულნი გრუპპანი, წმინდა ასირიულის მნიშვნელობით, თუმცა გამოითქმოდნენ უცხო ენით, არა ასსირიულად. თვით ასსირიულ ენასაც რომ ესევე უხმარნია აკკადთაგან მიღებული დიდი რიცხვი აკკადიურ[2]) გამოთქმათა, როგორც ალლოფონები, ამას ეჭვი აღარ შეუვა (იხილე მენანის Inscriptions de Hammourabi, გვ. 29 და სხ.). ამ გვარივე მოვლენას ვხედავთ იაპონიურ წერილში, სახელდობრ yomi ანუ Wakun, სადაც ჩინურ სიტყვებს და ფრაზებს კითხვაში იაპონიურად გამოსთქვამენ. ამ უკანასკნელ დროს Haug მა აღმოაჩინა ესეთივე ჩვეულება ფალევნურ ენისა, სადაც სიმეტიკურნი სიტყვანი წაიკითხებოდნენ შესაფერ ირანულის სიტყვებით. შეგვიძლიან სიმართლით ვსთქვათ, რომ ყველა ალაროდიულ წარწერის ნახევარი შესდგება იდეოგრაფიულ ელემენტებისაგან, რომელიც წარმოადგენს ან წმინდა იდეოგრამმებს, ან ალლოფონებს. ამ ნაირად გავრცელებულ იდეოგრაფიზმის შემწეობით ჩვენ ეხლავე შეგვიძლიან შევიგნოთ საზოგადო მნიშვნელობა, აზრი წარწერათა, გამოვარკვიოთ იმისი არსება, მიუხედავად იმისა, თუ როგორ წაიკითხებოდა ალაგობრივ ეს ნიშნები, მიუხედავად იმისა, რომ ფონეტიკური ნაწილი წარწერათა ჯერ, თითქმის, მიუწდომელია ჩვენთვის და თვით ენაც მაგრე რიგად ცნობილი არ არის.

1848 წ. Hincks მა გამოაცხადა თავისი წერილი შესახებ ალაროდიულ წარწერათა, სადაც ავტორი ex-professo შეეხებოდა იმ წარწერათა ენას. თუმცა წერილში ბევრი მახვილი შენიშვნა გამოთქმულია, მაგრამ წერილი დაძველებულია, ეკუთვნის იმ დროს, როცა ანარიულ[3]) ანბანის დეშიფრება მაგრე რიგად წინ არ იყო წაწეული; მაშინ ჯერ მკვიდრად არ იცოდნენ ზოგ ასოების ფონეტიკური მნიშვნელობა. ამ მიზეზით უმეტესი ნაწილი წაკითხვისა, იმ წერილში მოყვანილი, უარ უნდა იყოს და ფილოლოგიურნი დასკვნანი, დაფუძნებულნი იმ კითხვაზედ, გაუქმდნენ. ჰინკსი ჰგონებდა, რომ წარწერათა ენა არიული ენა არისო და ამიტომ იმის არგუმენტებს დიდი მიმზიდველობა ჰქონდა, ხოლო იმათი საფუძველი დაემყარებოდა შემცდარ დეშიფრობაზედ. სხვა სწავლულებმა, რომელნიც ამ საგანს შეეხნენ, სხვა-და-სხვა აზრი გამოსთქვეს. ლეარდის აზრი იყო, რომ ალაროდიულ წარწერების ენაში იპოება დიდი წილი მონგოლურ ელემენტისაო. ჰანრი რაულინსონმა სთქვა, რომ ის ენა თურანულ ენებს ეთვისებაო, მიდიისა და აკკადიურ გრუპპასაო. მორდმანმა გამოაცხადა, რომ სიამბური ენა ყველა დაბრკოლებას გააქარვებსო. ვერც ერთი ამ ავტორიტეტთაგანი ვერ დაამტკიცებს მეცნიერების რიგით ვერც ერთ აქ გამოთქმულ აზრს.

ილია ოქრომჭედლიშვილი

(შემდეგი იქნება)

1) ამის შესაგნებლად მკითხველმა უნდა წარმოიდგინოს, მაგალითებრ, ეს ხიმიკური ფორმულა $H_2 SO_4$, რომელსაც, დანახვის უმალვე დაუყოვნებლივ, ფრანცუზი წაიკითხავს და გამოსთქვამს acide sulfurique, ნემეცი—schwefelsäure, რუსი—сѣрная кислота და სხ., თუმცა წერით ყველა ერთ ნაირად დასწერს.

2) აკკადნი ყოფილან თურანის სჭესისანი, რომელთაც სჭერიათ ასსურეთი და ბაბილონი ასსურების და ბაბილონელთ გამოჩენის წინ და ამ უკანასკნელთ მიუღიათ აკკადიელებისაგან როგორც იმათი ტერიტორია და უფლება, აგრეთვე იმათი ცივილიზაცია, მოქალაქობა, წერის ხელოვნება და სხ.; თურანელების ცივილიზაცია უფრო ადრე ყოფილა გაჩენილი, ვირემც სემიტებისა.

3) ანარიული ჰნიშნავს არა არიულს, მაშასადამე სემიტურს და თურანულს.

...ჯაჭვებმაც აძლევს ნება-ყოფლობით — როგორც ზევითაც ვსთქვით — ექვსასი დესეტინას სამუდამო საკუთრებად. როცა აძლევდნენ ექვსას დესეტინა ტყეს, საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, მაშინ მტკიცედ ჰგრძნობდნენ ჯორჯაძენი, რომ გლეხებს ეკუთვნოდათ ნაწილი მთისა. ხოლო თუ მაშინ ჰგრძნობდნენ და აძლევდნენ, რატომ დღეს-კი აღარ უნდა გაიმეტონ გლეხებისათვის ეს წილი?!

თუ ჯორჯაძეები რომ მოიქცნენ ისე, როგორც იქცეოდნენ დავის გადაწყვეტამდის, ე. ი. თავიანთის ნებითა და სურვილით მისცენ გლეხებს, სწორედ აჩუქონ ის, რასაც აძლევდნენ, დაუთმონ ექვსასი დესეტინა ტყე, მაშინ ღრმადა ვართ დარწმუნებულნი კერძოდ ჩვენ მაინც, რომ ამით ძირიან-ფესვიანად ამოითხრება სიძულვილი და შფოთი. მაშინ სამუდამოდ და საშვილიშვილოდ ჩამოვარდება მათ შორის ერთი ერთმანეთისათვის თავ-განწირული მამაშვილური სიყვარული და საამ-ტკბილობა. ეს იქნება მათის მხრით დიდი სამართლიანობა, ეს იქნება „ქმნა მართლისა სამართლისა", აღსრულება მამა-პაპათა უკეთესის ანდერძისა, მკვიდრი დიდსულოვნობა, საყვარელი „სოფლისა" და სამშობლოისი, ჭეშმარიტი მამულიშვილობა და ბოლოს აღსრულება თვით ქრისტე მაცხოვრის მაღალის მცნებისა და მოძღვრებისა...

მეთვალყური.

## წერილი რედაქციის მიმართ

### I

ჩვენის პატივცემულის ისტორიკოსის დიმიტრი ბაქრაძის სიკვდილმა ყველას თავზარი დასცა ჩვენს თიანეთშიც. ეს პატარა დაბა სხვა თავის თანამოძმეებთან ერთად ჰგლოვობს დაკარგვას საუკეთესო ძმისა და მასწავლებლისას, ჰგლოვობს ყველა, ვისაც ესმის რა არის ერი, ერის ისტორია, ეროვნული თვით-ცნობა... 15 ამ თვისას, რა დღესაც ეს სამწუხარო ამბავი მოვიდა, შეიკრიბა საყდარში ადგილობრივი საზოგადოება პანაშვიდზე დასასწრებლად. პანაშვიდი გადაიხადა ადგილობრივმა ბლ. მღ. ი. კოშორიძემ, რომელმაც წარმოსთქვა გრძნობიერი სიტყვა განსვენებულის მოღვაწეობის მნიშვნელობაზედ, თუ რა ღვაწლი დასდო მან ჩვენს ისტორიას, რამდენად შეგვაგნებინა ჩვენი წარსული და მოგვანიჭა იმედი მომავლისა. პატივცემულმა მოძღვარმა სწორედ მოსწრებულად შეადარა განსვენებული დიმიტრი ბაქრაძე დიმიტრი თავ დადებულს. ნამეტანი არ იქნება, სთქვა მღვდელმა, ითქვას, რომ განსვენებული მეორე დიმიტრი თავ-დადებულია მამულისათვის. თუ პირველმა მსხვერპლად შესწირა თავი სამშობლოს, თავი დასდო საქართველოსათვის და ამით მოგვცა მაგალითი პატიოსნურის სიკვდილისა, თავ-განწირულებისა მამულისა და სჯულისათვის, არც მეორემ დააკლო: ეს გვაძლევს მაგალითს დაუღალავის, განუწყვეტელ, მედგარის შრომისას მამულისა და მეცნიერების გულისათვის, რომელსაც შესწირა თავისი სიცოცხლე, აღსავსე დაუცხრომელის ზრუნვით, როგორც პირველზე, ისე მეორეზე. დიმიტრი ბაქრაძის ღვაწლს შემდეგ ადვილად ველარავინ გაჰბედავს შეურაცხყოს ჩვენი თავ-მოყვარება და დაუძახოს ჩვენს ისტორიას ზღაპრული", და სხვ. ბოლოს სიტყვა დაასრულა ამ ლექსით.

„...ვინც რომ წარსულს ივიწყებს, არ ქმნებს,
ძლიერ კარგიც რომ იყოს, ნაყოფს ვერ გამოიღებს".

მიბოძეთ მეც ნება უკანასკნელი სალამი მივცე პატიოსანს მოხუცს, გულწრფელს ქართველს, დაუღალავს მუშაკს, რომელმაც მკერდ-ხავსიანს საქართველოს წარსულს მოჰფინა ნათელი, რომელმან აღზარდა ჩვენში ეროვნული თავის ცნობა, თავის ვინაობის შეგნება, გაგვიღვიძა იმედი მომავლისა და ჩვენს ფრთებ-შეკვეცილს ეროვნულს გრძნობას ფრთები შეასხა, განამტკიცა ჩვენს გულში იმედი.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, პატიოსანო, დაუღალავის, მადლიანის მარჯვენის პატრონო ქართველო, დიმიტრი!

ვაჟა-ფშაველა.

### II

დღეს, 15 თებერვალს, ყარსის ქართველობამ გადაიხადეთ პანაშვიდი განსვენებულ დიმიტრი ზაქარიას ძის ბაქრაძის მოსახსენებლად. ყველას ღრმა მწუხარება ეტყობოდა სახეზედ, ყველა თვალ-ცრემლიანი ერთმანეთს შესჩიოდა ამ ძვირფას დანაკარგის გამო. აქაურობაში ცოტანი ვართ ქართველობა, მაგრამ ყველა ჩვენგანი: დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი ცხადად ვგრძნობთ -რა ნაირად დაობლდა ჩვენი სამშობლო ისტორია დიმიტრის დაკარგვით. ჩვენც ყარსის ქართველობა, სულით, და გულით ვწუხვართ და ვგლოვობთ დიმიტრი ზაქარიას ძე ბაქრაძის გარდაცვალებას.

საუკუნოდ იყოს ხსენება ჩვენთვის დაუღალავ და აწ გამქრალ არხეოლოგ ისტორიკოსისა!

ივ—ნე ქავ—ძე.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზ. „Недѣля" კვლავ შეეხება რუსეთის გიმნაზიების პროგრამის საქმეს. ეს უკანასკნელი წერილი გაზეთისა უფრო იმ ხმას გამოუწვევია, ეხლა-ხან გავრცელებულს, რომ ვითომ სახალხო განათლების სამინისტროს განსაკუთრებულმა კომისიამ, რომელსაც მინდობილი აქვს გიმნაზიის პროგრამის განხილვა და გადასინჯვა, მხოლოდ მცირეოდენი რამ ნაკლი მოუძებნა ამ პროგრამას, ოდნავ სცნო საჭიროდ იმისი შეცვლა და აგრეთვე იმ აზრს დაადგა, რომ ძველ ენების, ბერძნულისა და ლათინურის, გაკვეთილები უნდა შემცირდეს. გაზეთის აზრით, მარტო გიმნაზიის პროგრამა-კი არ უნდა შეიცვალოს, არამედ საზოგადოდ საშუალო სასწავლებლისა. საშუალო სასწავლებელი ჭეშმარიტად განათლებულს ადამიანს უნდა ჰზრდიდეს ცხოვრებისათვის და არა ცოდნის ნაგლეჯ-ნაფლეთებითა ჰკვებოს და ასაზრდოვოს ყმაწვილის ცხოველი გონება. ოდნავ შეცვლილი პროგრამა წყლულს მალამოდ არ დაედება,

რადგან სისტემით გამოწვეული სამდურავი ისევ სამდურავადვე დარჩება და ამ პროგრამას არა ერთხელ დასჭირდება კვლავ განხილვა და შეცვლა. ერთს საქმეს რადა ჰხდიან ასე გასახსაკებლად და გასაჭიანურებლად, როდესაც შეიძლება ერთბაშად გააკეთონ ყოველივე, რაც-კი გასაკეთებელია? ან ოდნავ შეცვლა რასა ჰქვიან, როდესაც სისტემას საძირკველი, ფესვი აქვს უვარგა? აშკარაა, აქ ოდნავ-კი არ არის საჭირო ცვლილება, ძირეულად უნდა გადასხვაფერდეს პროგრამა, ძირეულად უნდა შეიცვალოს. აღარ უნდა არსებობდეს ის სასწავლებლები, რომელიც თავის მიერ აღზრდილს მოწაფეს სრულს უფლებას ნასწავლისას არ ანიჭებს, სასწავლებელი ყველასათვის ადვილად მისაწვდომი იყოს და ყველა თანასწორი უფლების მხრივ.

ამ სიტყვებს გაზეთი რეალურ სასწავლებლის შესახებ ამბობს: საქმე იმაშია, რომ რეალურს სასწავლებელში ყველა იმასვე ასწავლიან, რასაც გიმნაზიებში, ბერძნულისა და ლათინურის გარდა, ასწავლიან თითქმის უფრო უკეთაც, მაგალითებრ, მათემატიკას, ქიმიას, ფიზიკას და სხ., მაგრამ მაინც ამ სასწავლებლებში სწავლა-დამთავრებულთ უნივერსიტეტის კარები გამოხურული აქვთ და ვერ შევლენ. გაზეთი ბერძნულისა და ლათინურის ცოდნის საჭიროებას ერთიან უარ-ჰყოფს. იგი დაბეჯითებით ამბობს, რომ

კლასიციზმმა თავისი დრო მოჭამა და არც საჭიროა ჩვენის გიმნაზიებისათვის. ახალი საშუალო სასწავლებელი უპირატესს ყოვლისა პრაქტიკულად უნდა იქმნას მოწყობილ-მომართული და ამას გარდა ამ სასწავლებელში სწავლა ისე სანგრძლივად არ უნდა სწარმოებდეს, — ვისაც აქვს ქალა ისეთი შეძლება, რომ თორმეტი-ცამეტი წლიწადი გაუძღვეს ბავშვის აღზრდის ხარჯს. სწავლების კლასიკურ სისტემას დროს-კი არც ერთის მოსასურვებელი და არც მეორე.

ზემოხსენებული გაზეთი დიდს ალაგს უთმობს საზოგადოდ თავისს ფურცლებზედ გიმნაზიის პროგრამის შეცვლის საქმეს და გამომხატველია მთელის ერის საჭიროებისა. ამ გაზეთისავე აზრისაა თითქმის რუსეთის ყველა გაზეთი და თუ არ ეთანხმება რამეში, ისევ წვრილმანებში.

**

ჩვეულებრივ სულ სხვა აზრისაა და სულ სხვას ამბობს გაზ. „Московскія Вѣдомости". ამ გაზეთს კლასიკური სისტემა თავის კალთას ქვეშ ამოუფარებია და უაზროდ სჭექს და ჰქუხს იმათ წინააღმდეგ, ვინც გულითა და სულით ჰნატრობს გიმნაზიის პროგრამის განხილვა-გადასინჯვას და საკეთილო ცვლილებათა მოლოდინშია. რასა თქმა უნდა, გაზეთი კეთილს არ აყრის ორიოლისა და სხვა გუბერნიების თავად-აზნაურობას, რომელთაც განაცხადეს უპირველეს ყოვლისა პროგრამის შეცვლის სურვილი. ამ გაზეთის უბედურება ის არის, რომ, სადაც გინდა და არ გინდა, პოლიტიკასა სჩხირავს და საკმარისია პაწია, ოდნავ შესამჩნევს ქინქლას მოჰკრას თვალი, რომ უშველებელი სპილო წარმოიდგინოს თავის ხორთუმითურთ. ამ პროგრამას შეცვლის საქმეშიაც გაზეთს პოლიტიკა ჩაუჩხრებია და გაიძახის:

ერთი უმთავრესი საგანი „ლიბერალთა" კათეხიზმოსი ის არის, რომ შეეჭიდოს და ბრძოლა გაუწიოს ჩვენთა გიმნაზიათა რიგიანსა და მართებულს განათლებას. ჩვენს დემოკრატებს იდეალად ის დაუსახავთ, რომ გიმნაზია რეალურ სასწავლებლამდე დაჰქვეითონ და შემდეგ უურთამდე გაუღონ უნივერსიტეტის კარები ამ ნაჯვრად მცოდნე და განათლებულ ყმაწვილ-კაცობას. ამ „გაერთების" მომხრეთაგან ასეთი იდეალი ადვილად მოსალოდნელია, მაგრამ ის-კი ვერ გაგვიგია, ამ იდეალს როგორ გაჰყოლია და ჩასთრევია ჩვენი თავად-აზნაურობა...

აბა ამაზე იტყვიან, რომ „მელას რაც აგონდებოდა, ის ეზმანებოდაო". გაზეთს თავის ოცნებით წარმომდგარ ლიბერალებისა, დემოკრატებისა და „გაერთების" მომხრეთა მეტი არავინ ახსოვს და ყველგან, უალაგოდა და ალაგიანად, ისინი ეჩხირება თვალში!..

## უცხოეთი

გერმანია. დიდად გაიმარჯვეს სოციალ-დემოკრატებმა არჩევანებზე. ჰამბურგს სულ სოციალ-დემოკრატები ამოურჩევია რეიხსტაგის დეპუტატებად და ამოურჩევია დიდის ხმის უმეტესობითაც. მეცჰერს ამოსვლია 27,250 კენჭი, დიცს 22,000, ბებელს 17,000. ფოლმარი ორგან ამოურჩევიათ: მიუნჰენსა და მილდებურგში. გეიერი ამოურჩევიათ ლეიპციხში, გრილენბერგი — ნიურენბერგში. შტუტგარტში, სადაც არა სწყალობდნენ წინად სოციალისტებს, ხელ მეორე არჩევანია დანიშნული და უნდა ერთმანეთს შეებრძოლონ კონსერვატორი და სოციალ-დემოკრატი. ელზასშიაც სოციალ-დემოკრატი ამოურჩევიათ. თავისუფალ მოაზრეთა შორის დღემდე არჩეულია: რიხტერი, ბირტი და შენკი.

— ნაციონალ-ლიბერალები დამარცხდნენ და საშინლადაც დამარცხდნენ. ბისმარკის შინაგან საქმეთა პოლიტიკას ზურგზე ბოლი აადინა ამ არჩევანებმაო, ამბობენ გერმანიის გაზეთები. ნაციონალ-ლიბერალები გაიძახიან, არამც თუ უმრავლესობისთვის ლა უნდა ვიზრუნოთ ახლა რეიხსტაგშიო, ეხლა ის უნდა ვიფიქროთ, რომ სახელმწიფოს დიდი უბედურება არა შეემთხვას-რა სოციალ-დემოკრატების ასეთის გამარჯვებითაო.

— თავისუფალ მოაზრეთა და სოციალ-დემოკრატების დასი მორიგებულან ერთმანეთში და ასე დაუწყიათ პირობა: ზოგან ჩვენს კენჭებს თქვენ მოგცემთ, ხოლო ზოგან თქვენ მოგვეცით სამაგიეროდაო.

— ერთს დემოკრატს უთქვამს თავის ამომრჩევლებისათვის ფრანკფურტში: ჩვენა ვართ დასი თავისუფლებისა, მიეცით კენჭი სოციალისტს, ჩვენ ნება არა გვაქვს მომხრეობა გაუწიოთ ნაციონალ-ლიბერალსაო.

— ულტრა-კონსერვატორი ჰამბერშტეინი, რედაქტორი „Kreuz Zeitung"-ისა, დამარცხებულ იქმნა. ჯერ არჩეული არ არის მოთავე ნაციონალ-ლიბერალებისა ბენიგსენი; მეორე თვალ საჩინო წარმომადგენელი ნაციონალ-ლიბერალებისა მიკელი მხოლოდ 18 ხმის უმეტესობით აურჩევიათ. თავისუფალ მოაზრეთა თვალსაჩინო წარმომადგენლებში გაუშავებიათ ალექსანდრე მეიერი პალეოს ქალაქში.

ინგლისი. პარნელის საქმის გამო დანიშნულმა კომისიამ გაათავა თავისი გამოძიება და სრულიად გაამართლა პარნელი და პარნელის დასი. გამოძიებით დამტკიცდა, რომ პარნელი და იმისი დასი არავითარი მონაწილე არა ყოფილა იმ დიდ ძალს კაცის კვლაში, რომელიც ირლანდიასა და ინგლისში ხდებოდა. სალისბერის სამინისტროს მოუწონებია კომისიის გადაწყვეტილება და უნდათ მადლობა გადაუხადონ კომისიის წევრთ გულ დასმით და მიუკერძოებლობით საქმის გამოძიებისათვის. პარნელის დასს უნდა, რომ როცა პალატა ამ მოწონებას დაადგენს, მოიხსენიოს შემდეგი: პალატას ესიამოვნა, რომ იმისი წევრნი მაგ საქმეში სრულიად უდანაშაულონი და უბრალონი აღმოჩნდნენო.

— სალალო მიწების შესყიდვის გამო ირლანდიაში იქაურ ფერმერების მიერ მთავრობას შეუდგენია კანონპროექტი, რომლის უმთავრესი აზრი არის შემდეგი: მთავრობამ უნდა ასესხოს ამ საგნისათვის 20 მილიონ გირვანქა სტერლინგზე მეტი (200 მილიონი მანათი).

## გასართობი.

კარგად მოგეხსენებათ, რომ ამერიკაში განქორწინება და [illegible] კავშირის გადაულახავა ერთია. მაგალითებრ, უკანასკნელს ოცს წლიწადს შეერთებულს შტატებში 328,716 ცოლ-ქმარი განქორწინებულა. რას გაუყრია ეს ერთ სულ და ერთ ხორც გარდაქმნილი ადამიანები, რა გაჰხდომია ამათს განცალკევებას მიზეზი და საბაბი? აი, სხვათა შორის, რა: ქმარს ცოლის და გაულანძღავს; ქმარს თამბაქო უღეჭია; ქმარს თავის ცოლის გიჟურს ძაღლისათვის პანღური ამოუკრავს; ქმარს ცოლისთვის შუბლზედ ბუწუწები აუწეწია; ქმარს რამდენჯერმე უარი უთქვამს და ცოლს თან არ გაჰყოლია სასეირნოდ; ქმარი სახლში შუაღამის შემდეგ დაბრუნებულა და ცოლი არ დაუმშვიდებია თავისის ლაპარაკით; ცოლს ქმრისთვის პერანგზედ ღილი არ დაუკერებია; დილით ადრე არ ამდგარა; თავის ქმრისთვის ცეცხლთან გათბობის ნება არ მიუცია, როცა შეციებული დაბრუნებულა კაცი სახლში; ცოლი ხშირად დადიოდა სტუმრად და ოჯახსა და ყმაწვილებზე რიგიანად არ ეჭირა თვალყური და სხ. და სხ. ქართველებშიაც რომ ყველა ეს მიზეზი საკმარისი იყოს განქორწინებისათვის, მაშინ საქართველოში ცოლ-ქმარი ან კი სანთლით იპოვებოდა და სადმე?!.

**

ბალფური, ირლანდიის საქმეების მდივანი, ძალიან ეჯავრებათ, ძალიან სძაგთ ირლანდიაში, რადგან ამ ბედისაგან დაჩაგრულს ერს მეტად უდიერად ექცევა და ყველაფერში ჰჩაგრავს, ყველაფერში წინააღმდეგობას უწევს. აი ეს ბალფური, „Pall Mall Gazette-ს" სიტყვით, დუბლინში ყოფნის დროს შეჰხვედრია ერთს კათოლიკეთა მღვდელს და უკითხავს:

— მართლა ირლანდიელებს ისე ვძულვარ, როგორც პარნელის მომხრე გაზეთები ამბობენო?

— ირლანდიელებს იმის ნახევრის ოდენად მაინც რომ სძულდეთ ცოდვა, რამდენადაც თქვენა სძულხართ, მაშინ არც მქადაგებელი და არც მღვდელი არ დასჭირდებოდათო, რადგან სრულად უზაკვო და წმინდა ცხოვრებას ექმნებოდათო, უპასუხა თურმე მღვდელმა.

**

საშინელი თავ-მოყვარეა გერმანელი მუშა-კაცი. საკმარისია ოდნავ მაინც შეუმცირონ ჯამაგირი და ერთის საათით მეტი აშრომონ და ამუშაონ დღეში, რომ გერმანიის მუშები მაშინვე პირს შეჰკრავენ ხოლმე და ერთიანად ჰკვეთენ

მუშაობას. ერთის გერმანულის გაზეთის სიტყვით, იტალიელი მუშები სულ სხვა გვარად იქცევიან თურმე ამისთანა შემთხვევაში. ერთხელ, მაგალითებრ, დღიური ფასი შეუმცირეს იმ მიწისმთხრელ იტალიელ მუშებს, რომელნიც გერმანიის ერთს რკინის გზაზედ ჰმუშაობდნენ, მუშები წამოდგნენ ღამე და თავისი ნიჩბები დააპატარავეს, დაამოკლეს. როცა ხურო-მოძღვარმა ჰკითხა, ნიჩბებისთვის წვერები რად დაკვიწრიათო, უპასუხეს თურმე, რომ რამდენსაც ნაკლებს ჯამაგირს მოგვცემთ, ნიჩაბიც ნაკლებად აიღებს მიწას და მუშაობას გაახანგრძლივებსო. იტალიელი სულელი არ არის და გერმანელსავით მუშაობის აკვეთა და პირის შეკვრა არ უყვარსო.

## დეპეშები

17 თებერვალი

ბერლინი. გუშინ მოუვიდათ უსიამოვნება იმპერიის კანცლერს და იმპერატორის აღმზრდელად ნამყოფს გინც-პეტერს. იმპერიის კანცლერს უთქვამს, რომ ან მე უნდა ვიყო, ან ეგაო, ან გინც-პეტერი დაითხოვეთო. ალბად გინც-პეტერს აღარ დააყენებენ სამსახურში და ბისმარკის სურვილი შესრულებულ იქმნება. ყურადღება მიიქცია იმ გარემოებამ, რომ გუშინ სახელმწიფო საბჭოს კრებაზედ ბისმარკი ძალიან ცოტა ხანს დარჩა.

„Kohburger Nachrichten“ ამბობს: ბოლგარიის მთავრობის სურვილი, რომ შეწყნარებულ იქმნას პრინცი ფერდინანდი, ამაოდ ჩაივლისო. რაც ამას წინად ბისმარკმა სთქვა ამ საგნის შესახებ, ცხადია, მას უკან გერმანია აღარ შეიწყნარებს პრინც ფერდინანდს მანამდე, ვიდრე რუსეთი არ მოინდომებს ამასაო.

18 თებერვალი

პეტერბურგი. გუშინ ეზიარნე მათნენ იმპერატორებითნი უდიდებულესობანი, ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა.

სამკურნალო თავმჯდომარედ საპატიმროების შესახებ კონგრესისა, რომელიც პეტერბურგში იქნება ივნისისათვის, დანიშნულია პრინცი ალექსანდრე პეტრეს ძე ოლდენბურგისა.

პეტერბურგს მოვიდა ბელგრადის ქალაქის თავი და თავმჯდომარე სერბიის სკუპჩინისა პაშიჩი, რომელიც ევროპაში დამოგზაურობს, რათა დაათვალიეროს, სად როგორ არის მოწყობილი ქალაქის საქმეების მართვა და საქალაქო შენობათა კეთება.

აქ მოვიდა გერმანიის სამხედრო სანდო კაცად ნამყოფი ვერდერი.

„С.-Пет. Вѣд“-ი ამბობს, რომ სახელმწიფო საბჭომ დაამტკიცა იუსტიციის მინისტრის აზრი აპეკუნობის შესახების დებულებისა.

ვენა. აქაურ დიპლომატებს შორის ის აზრი ტრიალებს, რომ სტამბულოვმა უდროო-დროს ამოირჩია პრინცის ფერდინანდის მთავრად შეწყნარებისა ევროპის სახელმწიფოთა მიერ. „Neue Freie Presse“ სცდილობს, დიდი საშიშროებანი დაუყენოს თვალ-წინ ევროპას და ამით მოამზადოს აზრი საზოგადოებისა პრინც ფერდინანდის შესაწყნარებლად. მეთაურ წერილში გაზეთი სცდილობს დაამტკიცოს, რომ თუ სტამბულოვის ცდამ ამ მხრით ამაოდ ჩაიარა, ბოლგარია იძულებული იქმნება თვისი დამოუკიდებლობა გამოაცხადოსო. ხოლო თუ ეს მოხდა, მაშინ მოსალოდნელია აღმოსავლეთის საქმეც გატყდესო, რადგან ბოლგარიის დამოუკიდებლობის გამოცხადებას მაშინვე მაკედონიის აჯანყება მოჰყვებაო.

პარიჟი. შინაგან საქმეთა მინისტრმა კონსტანმა, მიართვა პრეზიდენტს ქაღალდი სამსახურიდამ დათხოვნისა. ამ ამბავმა დიდად გააკვირვა და გააოცა ყველანი. კონსტანი იმიტომ ეთხოვება სამსახურს, რომ საკასაციო პალატის უფროს პრეზიდენტად დაუნიშნავთ საპოლიტიკო მოღვაწე და არა სამოსამართლო უწყების კაცი. შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნულ იქმნა ბურჟუა, დეპუტატი დეპარტამენტის მარნისა.

პეტერბურგის ბირჟა, 16 თებერვ.

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გაყიდულია. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | — „ | „ | 7 31 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | „ | 146½ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . | — „ | — „ | 1 10 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — „ | — „ | 237½ |
| —მეორისა . . . . | 226¾ | — „ | — „ |
| —მესამისა . . . | — „ | — „ | 217,37 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . | — „ | — „ | — „ |

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და ყირიმში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (ყირიმსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით — იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით — დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს კვირაზე გემები.


## განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება
„უბის წიგნი 1890 წლისათვის“
შედგენილი და გამოცემული
ვალ. გუნიას მიერ
ფასი 40 კაპ.

ტფილისის საგლეხო სკოლაში

## ისყიდება

ხბილი, დასამშვენებლი ხეები და ბუჩქები ერთ წლიანებიდამ დაწყებული ოც წლიანებამდე.

(10—9)

„წერა-კითხვის“ წიგნის მაღაზიამ შეიძინა

ჟურნალ „ნობათი“ს

ყველა ნომერი, გარდა სანიმუშოსი რომელიც სრულებით აღარ მოიპოვება გასასყიდად. ყველა ნომერი ერთად, რიცხვით ათი წიგნი, ზედ დამატებით ცალკე წიგნად დაბეჭდილ წიგნისა «ლომკაცი»,—სულ თერთმეტი წიგნი ღირს

**2 მან.**

ვინც ტფილისს გარეშე დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბოროკილი, დრამა ოთხს მოქმედ. ა. სუმბათაშვილისა, ნათარგ. ა. მ. ახნაზაროვისა . . . . | „ | 40 |
| იავნანამრა ჰქნა, მოთხრობა მოზრდილი ყმაწვილებისათვის ი. გოგებაშვილისა . . . . . . | „ | 10 |
| კედლის კალენდარი ჩარკვიანისა . . . . . | „ | 40 |
| სახალხო კალენდარი 1890 წ., ვალერიან გუნიას შედგენილი და გამოცემული . . . . . . | „ | 10 |
| საყმაწვილო ამბები თ. ასათიანისა, ფასი . . | „ | 10 |
| საერთო კედლის კალენდარი, 1890 წ. ექ. ხელაძის გამოცემა . . . | „ | 52 |
| ნ. ნიკოლაძის ნაწერი პირველი წიგნი . . . . | „ | 30 |
| უბის წიგნი 1890 წ. ვალერიან გუნიას შედგენილი და გამოცემული. . . | „ | 40 |
| საქართველოს კალენდარი 1890 წ. მისივე . . . . | „ | 50 |
| ძმა ძმის მტერი მოთხრობა თარგმანი ა. წითლიძისა . | „ | 10 |
| ქართული გრამატიკა თ. ჟორდანიასი . . . . . | „ | 55 |
| თვით მასწავლებელი ბიაშვილისა . . . . . . | „ | 45 |

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნების რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულ, ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| გლახის ნაამბობი, ილ. ჭავჭავაძისა . . . . . . | „ | 25 |
| მეფე ლირი, თარგ. ილ. ჭავჭავაძისა და ი. მაჩაბლისა ინგლის. . . . . | „ | 60 |
| თხზულებანი ნ. ზ. ანტონოვისა: . . . . . | 1 | „ |
| ისტორია საქართველოსი, დ. ბაქრაძისა . . . . | 1 | „ |
| მოკლე დარიგება ხეხილების გამრავლებაზე სურათებით, „მეურნეს გამოცემა“ | „ | 20 |
| ქართული თეატრი. ვ. გუნიაი . . . . . | „ | 40 |
| ბედი ქმედურთა, მოთხრობა ნ. ლომაურისა . . . | „ | 15 |
| პატარა მოამბე, წიგნი II, ალ. მირიანაშვილისა, იმავ საზოგადოების გამოცემა | „ | 10 |

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## ივერია

1890 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 თთვით . . . | 10 მ. — კ. | 6 თთვით . . . | 6 მ. — კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 „ . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | 4 „ . . . | 4 „ 70 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 „ . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 „ . . . | 2 „ 50 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 „ . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებლებს „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქცია ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმებს გარდა, 3 რვედლ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

## ОТКРЫТА ПОДПИСКА

НА ЕЖЕДНЕВНУЮ ГАЗЕТУ

## „КАВКАЗСКІЯ ОБЪЯВЛЕНІЯ“.

Содержаніе газеты: частныя объявленія и рекламы, которыя принимаются къ напечатанію на русскомъ, французскомъ, нѣмецкомъ, армянскомъ, грузинскомъ и татарскомъ языкахъ; свѣдѣнія, имѣющія справочный характеръ, какъ то: получаемыя въ Тифлисѣ телеграммы „Сѣвернаго Агентства“, биржевыя, промышленныя, торговыя и коммиссіонныя справки, полицейскій, думскій и судебный бюллетени съ извѣстіями о банкротствахъ и торговой несостоятельности, некрологи, списки недоставленныхъ телеграммъ, такса на продукты, календарь время отхода и прихода поѣздовъ з. ж. дороги и пароходовъ на Черномъ и Каспійскомъ моряхъ, а также срочныхъ экипажей по военно-грузинской дорогѣ; врачи и врачебная помощь, театры, зрѣлища, увѣдомленія о засѣданіяхъ обществъ, актахъ, юбилейныхъ и другихъ торжествахъ и народныхъ праздникахъ, свѣдѣнія о полученныхъ грузахъ и товарахъ и т. под.

**ПОДПИСНАЯ ЦѢНА:**

**Городскимъ подписчикамъ:**
На годъ съ доставкой на домъ. 1 р. 20 к.
На полгода . . . . . — 80 „

**Иногороднымъ подписчикамъ:**
На годъ съ пересылкою. 1 р. 80 к.
На полгода . . . . . 1 р. — „

Городскіе подписчики, получающіе какія—либо изданія, выходящія въ г. Тифлисѣ, **платятъ**, по предъявленіи ими квитанціи на подписку въ контору газеты «**Кавказскія Объявленія**» и въ отдѣлъ, **лишь 60к. въ годъ**.

Для прочтенія „Кавказскія Объявленія“ предлагаются публикѣ въ вагонахъ тифлисск. трамвая, въ подъѣзжающихъ къ Тифлису поѣздахъ заказ. ж. дор. изъ Баку и Батума и срочныхъ экипажахъ по военно-грузинской дорогѣ. За помѣщеніе объявленій взимается по 4 коп со строки петита. Подписавшіеся же на газету „Кавказскія Объявленія“, при сдачѣ объявленій не менѣе 15 разъ, пользуются большою скидкою по соглашенію съ конторою. Траурныя объявленія лишь на первой страницѣ; **плата за каждый разъ по 2 рубля.**

Контора и редакція газеты „Кавказскія Объявленія“ помѣщаются на Гановской улицѣ, при конторѣ нотаріуса **А. Г. Мамиконова**, а отдѣленіе: на углу Головинскаго проспекта и Барятинской улицы, въ павильонѣ Хиддебеля.

Адресъ для телеграммъ: Тифлисъ, „Кавказскія Объявленія“.

Редакторъ-издательница **Н. П. Слинко**.


Доз. ценз Тифлисъ 19-го Февраля, 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Melik. д бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე